ხონის მუნიციპალიტეტის
ახალგაზრდული საბჭოს სხდომის
ოქმი N 1

ქ. ხონი

27 დეკემბერი 2023 წელი

სხდომას ესწრებოდნენ ახალგაზრდული საბჭოს წევრები: ანასტასია კაკაბაძე, გვანცა გვანცელაძე, ნინი ჩიხლაძე, მელანო კოპალიანი, გიგა სულაბერიძე, ლუკა გორდულაძე, ვასილ აგლაძე, თამთა ყურაშვილი, ბესარიონ კირთაძე, ანნა მოგელაძე, ეთერი აბზიანიძე, გურამ უგულავა, გოგა გახოკიძე, მინდია კიკალეიშვილი, ასევე, სხდომას ესწრებოდა ახალგაზრდული საბჭოს კოორდინატორი ავთანდილ ხობუა.

სხდომას არ ესწრებოდნენ ახალგაზრდული საბჭოს წევრები: ნინი კუხალაშვილი, დავით აკობიძე და მაგდა ჯიშკარიანი.

დღის წესრიგი:

1. ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

   მომხსენებელი: ავთანდილ ხობუა - ახალგაზრდული საბჭოს კოორდინატორი.

2. ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

   მომხსენებელი: ახალარჩეული თავმჯდომარე.

3. ახალგაზრდული საბჭოს მდივნის არჩევის შესახებ.

   მომხსენებელი: ახალარჩეული თავმჯდომარე.

მოისმინეს: 1. ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

მომხსენებელი: ავთანდილ ხობუა - ახალგაზრდული საბჭოს კოორდინატორი.

ახალგაზარდული საბჭოს კოორდინატორმა ავთანდილ ხობუამ აღნიშნა, რომ, ხონის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოს დებულების შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარის არჩევა უნდა მოხდეს 2 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით. დებულების თანახმად, საბჭოს თავმჯდომარის პოზიციის დასაკავებლად დაფიქსირებულია ორი კანდიდატი: ანნა მოგელაძე და ეთერ აბზიანიძე.

აზრი გამოთქვეს: ახალგაზრდული საბჭოს სხდომაზე ფარული კენჭისყრით გამოვლენილ ანნა მოგელაძეს (დამსწრე 14 წევრიდან 10 მხარდამჭერით) წარმატებები უსურვეს საბჭოს წევრებმა.
დაადგინეს: წარმოდგენილი ორი კანდიდატიდან ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარედ ფარული კენჭისყრით არჩეული იქნა ანნა მოგელაძე.
მოისმინეს: 2. ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

მომხსენებელი: ანნა მოგელაძე - ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარე.

ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარემ ანნა მოგელაძემ აღნიშნა, რომ, ხონის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოს დებულების შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარეს, რომელსაც, ირჩევს ახალგაზრდული საბჭო ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, 2 წლის ვადით.
ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის კადიდატად საბჭოს თავმჯდომარემ ანნა მოგელაძემ დაასახელა ეთერი აბზიანიძე.
აზრი გამოთქვეს: ახალგაზრდული საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებმა მხარი დაუჭირეს ეთერი აბზიანიძის კანდიდატურას და უსურვეს წარმატებები.
დაადგინეს: ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდმარის მოადგილედ, ფარული კენჭისყრით, არჩეული იქნა ეთერი აბზიანიძე.
მოისმინეს: 3. ახალგაზრდული საბჭოს მდივნის არჩევის შესახებ.
ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარემ ანნა მოგელაძემ საბჭოს მდივნად დაასახელა ახალგაზრდული საბჭოს წევრი თამთა ყურაშვილი.
აზრი გამოთქვეს: ახალგაზრდული საბჭოს წევრბმა მხარი დაუჭირეს ახალგაზრდული საბჭოს მდივნად თამთა ყურაშვილის კანდიდატურას.
დაადგინეს: ახალგაზრდული საბჭოს მდივნად არჩეული იქნა თამთა ყურაშვილი ახალგაზრდული საბჭოს წევრი.

ახალგაზრდული საბჭოს თავმჯდომარე: ანნა მოგელაძე

ახალგაზრდული საბჭოს მდივანი: თ. ყურაშვილი. თამთა ყურაშვილი